

ANNALS OF HATTUSILI I

ხათუსილი I-ის ანალები

MAIA GAMBASHIDZE

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,

Ass. Prof., Tel.: 599960904

maia.ghambashidze@tsu.ge

ORCID 0000-0002-1008-2869

Abstract

A Georgian translation with commentary of the analytical text of Hattusili I, one of the first kings of the Hittite kingdom is provided. The text is interesting both stylistically and in content, as it concerns a very interesting period in Hittite history.

Keywords: Hittites; Hattians; Kaskians; Ancient Near East; Ancient Anatolia; Annals; Hattusili I; Hittitology; Assyriology.

მაია ღამბაშიძე,

ივ. ჯავახიშვილის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი,

დოქტ., ასოც. პროფ., ტელ.: 599960904,

maia.ghambashidze@tsu.ge

ORCID 0000-0002-1008-2869

აბსტრაქტი

მოცემულია ხეთების იმპერიამდელი სამეფოს პერიოდის ერთ-ერთი პირველი მეფის ხათუსილი I-ის ანალისტიკური ტექსტის ქართული თარგმანი კომენტარებით. ტექსტი საინტერესოა, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად, ვინაიდან ისინი ხეთების ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდს ეხება.

საკვანძო სიტყვები: ხეთები; ხათები; ქასქები; ანალები; ხათუსილი I; ძველი ახლო აღმოსავლეთი; ძველი ანატოლია; ხეთოლოგია; ასირიოლოგია.

ხათუსილი I-ის ანალები

წყაროები¹:

- ხათუსილი I/ლაზარნა II-ს საბეჭდავი²
- ჯვრის ფორმის საბეჭდავი, რომლის ზედწერლში ჩამოთვლილია სამეფო დინასტიის წარმომადგენლები³
- (CTH 4) KBo 10.1 (აქად.); KBo 10.2, asli: KUB 23.31, IBoT 3.134 (+)KUB 23.41, VBoT 13+KUB 47.48, KUB 40 6+KUB 23.33 (+?) 23.20 და KBo 10.3 (ხეთ.) - „ხათუსილი I-ის ანალები“, აქადური და ხეთური ვარიანტები, სადაც მოთხრობილია ამ მეფის მმართველობის პირველი წლების სამხედრო ოპერაციების შესახებ
- (CTH 6) KUB 1.16+KUB 40.65: ხათუსილი I-ის „პოლიტიკური ანდერძი“, აქადურ-ხეთური ბილინგვა⁴
- (CTH 5) KBo 3.27: ხათუსილი I-ის „ბრძანება“⁵
- ხათუსილი I-ის წერილი თუნიფ-თეშუმს, ქვეშევრდომი სამეფოს თიკუნანის (ზემო მესოპოტამია) მმართველს, ქ. ხახუზე (ევფრატის ზემო დინება) გალაშქრებასთან დაკავშირებით⁶
- (CTH 11) KBo 3.57; KUB 26.72: „კრებული ფირფიტა“, სადაც ნახსენებია ხათუსილი I-ის, მურსილი I-ისა და ხანთილი (I?)-ის სამხედრო მოქმედებანი⁷
- (CTH 19) KUB 3.85, ასლი (აქად.): KBo 3.1 + KBo 12.5 + KBo 3.68 + KBo 12.7 ასლი (ხეთ.): თელეფინუს „ბრძანება“, რომელიც მხოლოდ გვიანდელი ხანიდანაა ცნობილი. აღწერილია ხათუსილი I-ის სამხედრო წარმატებანი (Kol. I 13-23)⁸
- (CTH 75) KBo 1.6, KUB 3.6,5; KBo 28.120: მუვათალი II-ს ხელშეკრულება ალეპოს მმართველ თალმი-შარუმასთან (აქად.). ტექსტის ისტორიულ შესავალში ნახსენებია ხათუსილი I-ის წარმატებანი ჩრდილოეთ სირიაში და მურსილი I ხათუსილი I-ის შვილიშვილადაა მოხსენიებული⁹
- (CTH 81) KUB 1.1+ ხათუსილი III-ს მიერ შედგენილ ხეთ მეფეთა გენეალოგიურ ნუსხაში მოხსენიებულია ხათუსილი I¹⁰

¹ 1999 წ. გამოიცა ცნობილი გერმანელი ხეთოლოგის ჰ. კლენგელის წიგნი „ხეთის სამეფოს ისტორია“, Klengel H., (1999). ავტორმა სხვა გამოჩენილ მეცნიერთა დახმარებითა და ხელის შეწყობით თავი მოუყარა თითქმის მთელს ხეთურ წყაროებსა და მათთან დაკავშირებულ ბიბლიოგრაფიას, ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგა და დააზუსტა, სავარაუდოდ რომელი მეფის მბრძანებლობის ხანას შეესაბამება თითოეული წყარო. მასზე დაყრდნობითა და გათვალისწინებით წარმოვადგენთ იმ არქეოლოგიურ და წერილობით მასალას, რომელიც მეფეთა ზეობის პერიოდითა და მოგვიანო ხანით უნდა თარიღდებოდეს.

² Easton D. F., (1981), 6; Carruba O., (1993), 77.

³ Dinçol A. M./ Dinçol B./ Hawkins J. D. / Wilhelm G., (1993), 87-106.

⁴ Sommer F./Falkenstein A., (1938) და სხვ.

⁵ Sommer F./Falkenstein A., (1938); Carruba O., (1992), 73-89.

⁶ Salvini M., (1994), 61-80.

⁷ Martino de S., (1992), 19-37.

⁸ Eisele W., (1970); Hoffmann I., (1984); Гиоргадзе Г. Г., (1965), 67-82.

⁹ Weidner E., PD, (1922), 80 და სხვ.

¹⁰ Ünal A., (1974).

- (CTH 89) KUB 21.29 და მისი ასლი: ხათუსილი III-ს ბრძანებულება ქასქებთან ქ. თილიურას მაცხოვრებლების ურთიერთობის შესახებ. მეფე იხსენებს ლაბარნას (და) ხათუსილის, რომლებიც მტერს მდ. ქუმესმახაზე არ უშვებდნენ¹¹
- (CTH 661) KBo 13.43: სამეფო სახლის გარდაცვლილ პირთა სია, სადაც მოხსენიებულია ხათუსილი I; (CTH 627) KBo 11.36: ხათუსილი I-ის შესაწირავთა ჩამონათვალი¹²
- (CTH 660) KBo 2.30 I 12; KBo 2.29 III? 10; KUB 10.11 III 27 და IV 21: ANTAHŠUM-ის დღესასწაული: მოხსენიებულია ხათუსილი I¹³.

ისტორია:

ხათუსილი I ხეთის სამეფოს ჩვენთვის ცნობილი პირველი მეფე იყო (დაახლ. ქ. წ. 1650-1620 წ.წ.). იგი ლაბარნა/თაბარნას წოდებას ატარებდა, რაც ხათურად „მბრძანებელს, მეფეს, მმართველს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, მან მეფობის პირველი წლები ქალაქ ქუსარაში გაატარა¹⁴, რის გამოც იგი თავს აგრეთვე „ქუსარელს“ უწოდებს, ხოლო შემდგომ ტახტი ქ. ხათუსაში უნდა გადმოეტანა და სახელი ხათუსილიც („ხათუსას კაცი“, „ხათუს-ელი“) აქედან მომდინარეობს. იმის მიუხედავად, რომ დაახლოებით 30 წელი უნდა ემეფა, მისი ისტორიის გადმოცემელი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, ანალები-მეფობის მხოლოდ ექვსი წლის ამბავს გადმოგვცემს.

ხათის სამეფოში ძალაუფლების გასამტკიცებლად ხათუსილი I-მა ქვეყნის სამხრეთით ტერიტორიების შემომატკიცებას მიჰყო ხელი. თავდაპირველად ქალაქ სანახვითას დასაპყრობად გასწია, რომელიც ტავროსის მთიანეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა. აქ მან ლაშქარი დააბანაკა და ამით ჩრდილო სირიისაკენ ბრძოლებისათვის მზადება დაიწყო¹⁵. შემდგომ სამხრეთით აიღო გეზი, შეუტია ქ. ცალფას¹⁶ და გაანადგურა იგი. შემდგომ წელს მან სირიული ქალაქები ალალხა/ალალახი (თან. თელ-აჯანა), ვარსუვა/ურსუ (თან. გაზიან-თეფესთან), იქაქალი და თასხინია (ორივე სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაშია სამეზნელი) დალაშქრა და დიდი დოვლათით „თავისი სასახლე გაავსო“.

გამარჯვებული ხათუსილი შემდგომ წელს ჩრდილო სირიიდან ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემურა და ქ. არცავა გამარცხა. მას იქ ყოფნა დიდ ხანს არ მოუწია,

¹¹ Schuler von E., (1965), 145.

¹² Otten H., (1968), 104.

¹³ იქვე 126.

¹⁴ Ünal A., (1999), 41.

¹⁵ ჩრდ. სირიაში ძველი სამეფოს პერიოდში ხეთების ლაშქრობების შესახებ იხ. Гиоргадзе Г. Г., (1964), 3-22.

¹⁶ ქ. ცალფას ლოკალიზაციისათვის იხ. ღამბაშიძე მ. (2006) 16-19; Gambashidze M. (2003) 29-30. ხათუსილი I-ს, ანითას მსგავსად, სამხრეთით მდებარე ქ. ცალფა უნდა დაეპყრო. ამ ვარაუდს ამყარებს ხათუსილი I-ის მიერ შედგენილი ე. წ. „ბრძანება“ (CTH 5) KBo 3.27, სადაც ქ. ცალფა ჩრდ. სირიულ ქალაქებთან-ხასუვასა და ხალაბთან (ალეპოსთან) მიმართებაშია მოხსენიებული. იხ. Klengel H., (1999), 45.

ხათის სამეფოს აღმოსავლეთიდან ხურიტები შემოესიენ¹⁷ და მთელი ქვეყანა დაიპყრეს, მხოლოდ დედაქალაქი ხათუსა გადარჩა. ხათუსილის არცავადან ხათში დაბრუნება მოუხდა, რის შედეგადაც მდ. მარასანთიას (/ჰალისი, თან. ყიზილ-ირმაკის) სამხრეთით მდებარე ქ. ნენასა (თან. ნენეზი) ულუმა/ულმა (თან. აკსარაი) და სალახსუვა (თან. ელბისტანთან) კვლავ იარაღით დაიმორჩილა. ამის შემდეგ იგი დედაქალაქში დაბრუნდა. შემდგომ წელს კიდევ ერთხელ ილაშქრა ქ. სანახვითას წინააღმდეგ და ხუთი თვის ბრძოლის შედეგად ხელახლა დაიმორჩილა. შემდგომი ლაშქრობა მოეწყო ქალაქ აფაიას ცხენოსანი ლაშქრის წინააღმდეგ, გამარცხა ქალაქი თაქსანა, ხოლო ქალაქი ფარმანა ნებაყოფლობით ჩაბარდა ხათის მეფეს.

შემდგომ წელს ხათუსილიმ დაანგრია ქალაქი ალხა/ალახა (თან. მაღათიასთან) და ანატოლიაში ძალაუფლება განიმტკიცა. ერთი წლის შემდეგ, მან კვლავ გადალახა ტავროსის მთები და ჩრდილო სირიას ხელმეორედ შეუტია: დაანგრია ქალაქი ცარუნა/ცარუნთი (თან. გაზიანთეფესთან), ქ. ხასუვას ლაშქარს ადალურის მთიანეთთან (თან. ამანოსი) შეებრძოლა, შემდეგ მდ. ფურუნა (ანტიკ. პირამოსი, თან. ჯეიჰანი) გადალახა, თავად ქალაქი ხასუვა (თან. მარასი?) დაანგრია („ლომივით დატორა“) და ქალაქიდან დიდი დოვლათი, ღვთაებათა ქანდაკებანი ხათუსაში წამოიღო. ამ ლაშქრობას მან ერთი წელი მოანდომა. შემდეგ ქ. ციფასნასკენ (თან. გაზიანთეფესთან) გასწია და გაანადგურა იგი. ანალებში აღწერილი ბოლო ლაშქრობა ხათუსილიმ ქ. ხახას (თან. ურფასთან?) წინააღმდეგ მოაწყო¹⁸. ქალაქის მონა ქალები „სახანისა და ლუცის“¹⁹ გადასახადებისაგან გაათავისუფლა. შემდეგ მან მდ. მალა (აქად. ფურათა, თან. ევფრატი) გადალახა და ქ. ხახას ლაშქარი დაამარცხა, ხოლო ხასუსა და ხახას მეფენი ქვეშევრდომებად გაიხადა. ხათუსილის ყველა ლაშქრობიდან დიდძალი ნადავლი მოჰქონდა ხათუსაში და, ამასთანავე, თითქმის ყველა ქალაქს ცეცხლს უკიდებდა²⁰. მან მოახერხა ჩრდილო სირიის, მაშინდელი ზემო მესოპოტამიის დამორჩილება.

სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, ხათუსილის ანალებში აღწერილი მეფის სამხედრო მოღვაწეობის ექვსი წელი მეფობის დასაწყისს ეკუთვნის, თუ უკვე გამეფების შემდგომ ხანას. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი ავად შეიქმნა და სიცოცხლის ბოლო წლები ქუსარაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა²¹. ანდერძის თანახმად, ტახტზე მისი "შვილად ხმობილი" (მემკვიდრედ აღიარებული) შვილიშვილი, მურსილი I უნდა ასულიყო²².

¹⁷ ხეტებისა და ხურიტების ურთიერთობაზე იმპერიამდელ პერიოდში იხ. Гиоргадзе Г. Г. (1969), 71-85.

¹⁸ სწორედ ამ ლაშქრობის შესახებ უნდა იყოს საუბარი ზემოხსენებულ წერილში, რომელიც ხათუსილი I-მა თუნიფ-თეშუმს, ქვეშევრდომი სამეფოს, თიკუნანის (ზემო მესოპოტამია) მმართველს მისწერა ქ. ხახუს წინააღმდეგ ლაშქრობასთან დაკავშირებით.

¹⁹ გ. გიორგაძე (1988), 98-99.

²⁰ Ünal A. (1999), 45.

²¹ (CTH 6) KUB 1.16 + KUB 40.65.

²² Гиоргадзе Г. Г. (1969), 71.

ტექსტის კვლევის ისტორია

ხეთების ძველი სამეფოს პერიოდის სადღეისოდ ცნობილი ფირფიტებიდან ერთ-ერთი ყველაზე უკეთესად შემონახული ტექსტია ხათუსილი I-ის ანალები (CTH 4)²³. იგი 1957 წ. აღმოჩნდა ხეთების დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, ბუიუქქალეში, K-შენობაში. ეს შენობა, A და E შენობებთან ერთად, თიხის ფირფიტების მთელი საცავია, რომელიც თუთხალია IV-ს (ქ.წ. XIII ს.) დროინდელ ბიბლიოთეკას უნდა წარმოადგენდეს. K შენობაში აღმოჩნდა ხის თაროებზე დაწყობილი თიხის ფირფიტების პატარა არქივი.

ხათუსილი I-ის ანალებმა ჩვენამდე ორ ენაზე მოაღწია - აქადურად და ხეთურად. აქადური ტექსტი 73 სტრიქონისგან შედგება, იგი ერთსვეტიანია და თითქმის სრულადაა შემონახული²⁴. იმის მიუხედავად, რომ ტექსტის ენა არქაულ ნიშნებს ატარებს, მკვლევართა აზრით, ფირფიტა გვიანდელ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს²⁵. ტექსტის 1-12 სტრიქონის ხელი განსხვავდება დანარჩენი ტექსტის ხელისაგან. კემპინსკის აზრით, ამ სტრიქონების ავტორი შეეცადა ხელის ძველბაბილონურისათვის მიმსგავსებას, რასაც ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ აქადური ტექსტი ერთ სვეტადაა შესრულებული და არა ორად, როგორც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდისათვის²⁶.

ხეთური ტექსტი ორსვეტიანია²⁷. შინაარსობლივად იგი საკმაოდ განსხვავდება აქადური ვერსიისაგან. არსებობს ვარაუდი, რომ არც აქადური და არც ხეთური ვერსია არ უნდა იყოს ტექსტის თავდაპირველი დედანი²⁸. სტილისტურად ხეთური ტექსტი ბევრად უფრო მწყობრია. ჰ. ოტენმა, გამოთქვა ვარაუდი, რომ მისი შემდგენელი ხეთურ ენაზე მოსაუბრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქადურად უნდა დაეწერა, კერძოდ კი ჩრდილოსირიულ, მარიულ დიალექტზე²⁹. ამ თვალსაზრისს ემხრობოდნენ: ჰ. გუტერბოკი, ა. კამენჰუბერი და ჰ. თენ ქათე, ხოლო ა. გოეტცე, ო. კარუბა და ჰ. მელხერტი ვარაუდობდნენ, რომ ტექსტი თავდაპირველად ხეთურ ენაზე შეადგინეს³⁰. რადგანაც ორივე ვარაუდს მოეპოვება დამადასტურებელიცა და უარყოფელი არგუმენტები, სადღეისოდ ეს საკითხი კვლავ გადაუჭრელად რჩება.

კემპინსკის აზრით, ტექსტი ქ.წ. XIV-XIII ს.ს. შექმნილი, რადგანაც წერის სტილი სწორედ ამ პერიოდის ბოლახოური აქადური ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი³¹, ხოლო ხეთური ფირფიტები გვიანდელი ხანის თარგმანებია, რასაც ხეთური ენის გვიანდელი პერიოდის ენობრივი ფორმები ადასტურებს³².

²³ Laroche E. (1971), 2-3.

²⁴ KBo 10.1.

²⁵ Otten H. (1958), 75.

²⁶ Kempinski A. (1983), 15.

²⁷ KBo 10.2-3.

²⁸ Götze A., (1962), 24.

²⁹ Otten H., (1958), 84.

³⁰ Melchert H.G., (1978), 22 და სხვ.

³¹ Kempinski A., (1983), 15.

³² Otten H., (1958), 83.

ხათუსილი I-ის ანალების აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ხეთოლოგთა შორის, ტექსტის თარგმანი და კომენტარი სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნდა³³. აღმოჩნდა ტექსტი, რომელმაც ხეთების ძველი სამეფოს ისტორიის მრავალ საკითხს მოჰფინა ნათელი. აღმოჩენისთანავე ოტენი წერდა: „ხათუსილის ტექსტის საფუძველზე შეგვიძლია ლიტერატურის განსაკუთრებულ ფორმაზე ვისაუბროთ, რომელსაც გვიანდელ ხანაში, ხათუსილი III-ს ავტობიოგრაფიაში ვხვდებით. ხოლო დროის განმსაზღვრელი გამოთქმა „შემდეგ წელს“-აშკარად ანალისტიკის უძველეს ფორმას გვიჩვენებს, რომელსაც შემდგომ, მურსილი II-ს ანალებში, უკვე ჩამოყალიბებული სახე ეძლევა“³⁴.

³³ იქვე, 78-83; Imparati F./Saporetti I. (1965), 1-9; Bryce T. R. (1982), 49-98; Kempinski A. (1983), 16-33; Marazzi M., (1986), 45-59; გიორგაძე გ. (1990), 184-187; Lawson Younger K. Jr. (1990), 137-139.

³⁴ Otten H (1958), 83.

ტექსტის აგებულება და შინაარსი.

ტექსტის მიხედვით ო. სოიზალმა ხათუსილი I-ის მმართველობის ექვსწლიანი სამხედრო ოპერაციების სქემა შეადგინა³⁵:

პირველი წელი³⁶: ა) ქ. სანახვითა - ადგილმდებარეობა: ტავროსის მთების აღმოსავლეთით - მოქმედება: (დედა)ქალაქის შემოგარენის განადგურება; ბ) ქ. ცალფა - ადგილმდებარეობა: ზემო ევფრატის ტერიტორია - მოქმედება: ქალაქის განადგურება.

მეორე წელი: ა) ქ. ალაღხა/ალაღახი - ადგილმდებარეობა: თელ-აჯანა - მოქმედება: ქალაქის განადგურება; ბ) ქ. ვარსუვა/ურსუ - ადგილმდებარეობა: ბირეჯიქისა და გაზიანთეფეს შორის - მოქმედება: ქალაქის განადგურება; გ) ქ. იქაქალი - ადგილმდებარეობა: სამხრ.-აღმ. ანატოლია - მოქმედება: ქალაქის განადგურება; დ) ქ. თასხინია - ადგილმდებარეობა: სამხრ.-აღმ. ანატოლია - მოქმედება: ქალაქის განადგურება;

მესამე წელი: ა) ქ. არცავა - ადგილმდებარეობა: სამხრ.-სამხრ.-დას. ანატოლია - მოქმედება: ქალაქის გაძარცვა; ბ) ხურიტების შემოჭრა ანატოლიაში; გ) ქ. ნინასა - ადგილმდებარეობა: ნენეზი - მოქმედება: ქალაქის უომრად ჩაბარება; დ) ქ. ულმა - ადგილმდებარეობა: აკსარაის მახლობლად - მოქმედება: ქვეყნის განადგურება; ე) სალასხუვას ქვეყანა - ადგილმდებარეობა: ელბისტანთან ახლოს - მოქმედება: მოსახლეობის მიერ ქვეყნის გადაწვა და შემდეგ ხათუსილისთვის ჩაბარება.

მეოთხე წელი: ა) ქ. სანახვითა - ადგილმდებარეობა: ცენტრ. ანატოლიის ჩრდილოეთი ნაწილი - მოქმედება: ქალაქის დანგრევა; ბ) აფაიას ქვეყანა - ადგილმდებარეობა: ? - მოქმედება: ქვეყნის ცხენოსანი ლაშქრის დამარცხება; გ) ქ. თაქსანა - ადგილმდებარეობა: ? - მოქმედება: ქალაქის გაძარცვა; დ) ქ. ფარმანა - ადგილმდებარეობა: ? - მოქმედება: ქალაქის უომრად აღება.

მეხუთე წელი: ა) ალხას ქვეყანა - ადგილმდებარეობა: მალათიასთან ახლოს? - მოქმედება: (დედა)ქალაქის დანგრევა.

მეექვსე წელი: ა) ცარუნას ქვეყანა - ადგილმდებარეობა: არსუზთან? - მოქმედება: (დედა)ქალაქის დანგრევა; ბ) ქ. ხასუვა - ადგილმდებარეობა: გაზიანთეფესთან (სამხრ.-აღმ. ოიუზელი?) - მოქმედება: ადალურის მთებთან ხასუვა-ხალაბის გაერთიანებულ ლაშქარზე გამარჯვება. მდ. ფურუნას გადალახვა და ქვეყნის დამარცხება; გ) ქ. ციფასნა - ადგილმდებარეობა: გაზიანთეფესთან - მოქმედება: ქალაქის დანგრევა; დ) ქ. ხახა - ადგილმდებარეობა: ურფასთან - მოქმედება: მალას (ევფრატი) გადალახვა და ქალაქის განადგურება. ხასუვასა და ხახას მეფეთა შებმა ურემში.

³⁵ Soysal O. (1989₂), 111-113.

³⁶ როგორც უკვე აღინიშნა, დაუდგენელია, მეფობის რომელი წლიდან იწყება ხათუსილი I-ის ამბის თხრობა.

ტექსტის თარგმანი³⁷:

წინა მხარე I. (1-8) დიდი მეფე, თაბარნა (მბრძანებელი), ხათუსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, ქუსარელი, თავანანას ძმისშვილი, მეფობდა ხათის ქვეყანაში. ქ. სანახვითაში გასწია მან, (მაგრამ) იგი არ გაუნადგურებია, მისი შემოგარენი გაანადგურა. ლაშქარი ორ ადგილას დავაბანაკე და რაც (იქ) ბაგები იყო, ლაშქარს ბანაკად ვუბოძე³⁸.

(9-11) შემდეგ ქ. ცალფასკენ გავწიე და გავანადგურე იგი. მისი ღვთაებანი (ქანდაკებანი) ავიღე (ხელთ ვიგდე) და სამი მადნანუ-ეტლი³⁹ ქ. არინას ღვთაებას მივუტანე.

(12-14) ერთი ვერცხლის ხარი, ერთი ოქროს მუშტი ამინდის ღვთაების ტაძარში მივიტანე, ხოლო დარჩენილ ღვთაებათა (ქანდაკებანი) ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.

(15-21) შემდეგ წელს ქ. ალაღხაში გავწიე და გავანადგურე. ამის შემდგომ ქ. ვარსუვაში გავწიე, ქ. ვარსუვადან კი, ქ. იქაქალიში გავწიე, ქ. იქაქალიდან კი- ქ. თასხინიაში წავედი და ეს ქვეყნები გავანადგურე, მათი დოვლათი ავიღე და ჩემი სახლი (ამ) დოვლათით გავავსე.

(22-32) ხოლო შემდეგ წელს ქ. არცავაში გავეშურე და მას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წავართვი. მაგრამ (ამ დროს) ზურგიდან ქ. ხურის მტერი ქვეყანაში შემომეჭრა და ყველა (ჩემი) ქვეყანა შემებრძოლა. მხოლოდ ქ. ხათუსა, ერთადერთი ქალაქი დამრჩა. (მე), დიდი მეფე, თაბარნა, ქ. არინას მზის ღვთაების რჩეული, (ღვთაებამ ხელში ამიყვანა), ბრძოლაში წინ წამიძღვა და მე ქ. ნინასას წინააღმდეგ საბრძოლველად გავწიე. ხოლო როდესაც ნინასელებმა წინ (მომავალი) დამინახეს, (ქალაქის კარიბჭე) გააღეს.

(33-45) ხოლო შემდეგ ქ. ულმასკენ გავწიე საბრძოლველად. ულმელებმა საბრძოლველად მისული ორჯერ დამინახეს. ისინი ორჯერ დავამარცხე და ულმას

³⁷ ხეთური ტექსტის ტრანსლიტერაცია და თარგმანი შესრულებულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: Otten H., (1958), 78-83; Imparati F. / Saporetti I., (1965), 1-18; (1983), 23-28; Dietrich M. / Kümmel H., M./ Loretz O./ Otten H., (1985), 159-163. გიორგაძე გ. (1990), 184-187; Lawson Yonger K. Yr., (1990), 136-137; Melchert H. G., (1978) 1-22. აქადური ვერსიის ტრანსლიტერაცია იხ. Kempinski A., (1983) 16-17.

³⁸ ხათუსილი I-ს ანალების შესავალი „ანიტას ტექსტის“ შესავალთან საოცარ მსგავსებას ავლენს: თხრობა აქაც მესამე პირში იწყება, მოხსენიებულია ხათუსილის ტიტულატურა და პირველი ლაშქრობა. შემდეგ კი, ანიტას ტექსტის მსგავსად, თხრობა პირველ პირში გრძელდება. სავსებით დასაშვებია იმის ვარაუდი, რომ ორივე ტექსტის შემსრულებელ მწერალ-გადამწერს თავდაპირველად მესამე პირში მოკლე შესავალი შეესრულებინა, ხოლო შემდგომ თავად ძველი ფირფიტა გადაეწერა (შესაბამისად, ეთარგმნა). ამის საბუთია ხათუსილის ანალების აქადური ტექსტიც, სადაც თხრობისას პირველი და მესამე პირი იცვლება (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ღამბაშიძე მ (2006).

³⁹ კემპინსკი მანდადნუ-ეტლს, როგორც საბრძოლო ეტლს თარგმნის. იხ. Kempinski, A., (1983), 26. აქადურ ვერსიაში გვხვდება მაიალთუმ-ეტლი. ა. გოტცეს აზრით, MA-YA-AL-TUM და MADNANU- MARŠUM („kind of carriage“-ის სინონიმებია. იხ. Götze A., (1962) 24. §2.

ქვეყანა გავანადგურე, მის ადგილას კი ჭინჭარი დავთესე⁴⁰. შვიდი ღვთაება ქ. არინას მზის ღვთაების ტაძარში მივიტანე, ერთი ვერცხლის ხარი-არახაფილანის მთის ქალღვთაება ქათითის (მივუყვანე), დანარჩენი ღვთაებანი კი ღვთაება მეცულას ტაძარში მივიყვანე. ხოლო როდესაც ულმას ქვეყნიდან დავბრუნდი და ქ. სალახსუვასკენ გავწიე, სალახსუვას ქვეყანა გადამწვარიყო (გადამწვარი დამხვდა). ხოლო (მაშინ) მისი (მოსახლეობა) მსახურად დამიდგა. შემდეგ ქ. ხათუსაში, ჩემს ქალაქში დავბრუნდი.

(46-52) ხოლო შემდეგ წელს ქ. სანახვითაში საბრძოლველად წავედი და ქ. სანახვითას 5 თვე ვებრძოდი და იგი მე-6 თვეს დავამარცხე და მე, მეფემ სული დავიმშვიდე. ხოლო რაც შეეხება ქვეყნებს, ისინი მზის ღვთაებას უკან დაუბრუნდა (და) ეს საგმირო საქმე, რომელიც (ჩავიდინე), ქ. არინას მზის ღვთაებას ვუძღვენი.

(53-უკანა მხარე II 5) ქ. აფაიას საბრძოლო ეტლები დავამარცხე და ქ. თაქსანიას წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე. შემდეგ ქ. ფარმანაში შევედი. ხოლო ფარმანა მთავარი იყო სამეფოებს შორის (მეფის თავთა შორის) და იგი გზას უკვალავდა (მათი წინამძღოლი იყო).

(6-10) და როდესაც მათ დამინახეს, ქალაქის კარიბჭე კვლავ გააღეს. ზეცის სიტყვით მზის ღვთაებამ ხელი ასწია და (რადგან) ალხას ქვეყანა მმტრობდა, ქ. ალხა გავანადგურე.

(11-23) ხოლო შემდეგ წელს ქ. ცარუნას ქვეყნად წავედი და ქ. ცარუნა გავანადგურე. (შემდეგ) ქ. ხასუვაში გავწიე. ხასუველები ჩემთან საბრძოლველად გამოემშურენ. მათ ზურგს ქ. ხალფას ლაშქარი უმაგრებდა. შემებრძოლენ და დავამარცხე ისინი. რამდენიმე დღეში მდ. ფურუნა⁴¹ გადავლახე და ხასუვას ქვეყანა ლომივით⁴² დავტორე.

⁴⁰ საინტერესოა აგრეთვე ერთი გამოთქმა, რომელსაც ორივე ტექსტში ვპოულობთ: „ანიტას ტექსტში“: KBo 3.22 წინა მხარე 47: *peddiššima ZĀ.AḤ.LI-an a-nu-e[-nu-un]*, ხათუსილი I-ის „ანალებში“: KBo 10.2 წინა მხარე I. 36-37: *pidišši [ZAG.AḤ]-LI šuniyanun*. ორივე შემთხვევაში იგი შემდეგნაირად ითარგმნება: „მის ადგილას ჭინჭარი დავთესე“. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება ქ. ხათუსას, როდესაც ანიტამ იგი ღამით დაიპყრო, მის ადგილას „ჭინჭარი დათესა“. ხათუსილი იგივეს ჩადის ულმას ქვეყნის მიმართ. საინტერესოა იმის დადგენა, ეს გამოთქმა მეტაფორული მნიშვნელობის მატარებელია, თუ უკავშირდება რეალურ მოქმედებას.

⁴¹ 3. ოტენმა ივარაუდა, რომ მდ. ფურუნა იგივეა, რაც მდ. ფურათუ (ევფრატი) Otten, H. (1958), 84, შენიშვნა 24, მაგრამ გოტცეს აზრით, ამ ორი მდინარის სახელი KUB 15.34 iii 10 და შმდგ. (ასლი 33a) ტექსტში გვერდიგვერდ გვხვდება და მათი გაიგივება არ შეიძლება, იხ. Götze A., (1962), 28.

⁴² ეპითეტი „ლომივით“. ტექსტში ეპითეტს „ლომივით“ ვხვდებით ორ ადგილას: წინა მხარე. II 18; უკანა მხარე. III 1. 8. კოლინსის აზრით, იმის მიუხედავად, რომ ლომი მეფის საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოა, ხეთურ წყაროებში იგი მეფის ეპითეტად თითქმის არ გვხვდება. ერთადერთი მეფე, რომელიც თავს ლომს ადარებს, არის ხათუსილი I. ეპითეტი „ლომი“ „ანიტას ტექსტშიც“ გვხვდება: „ვინც ჩემს შემდგომ მეფე გახდება და [ქ. ...ნას, ქ. ...მ]ას და ქ. ხარქიუნას-ნე[სას (ამ) მტრებს-] კვლავ ვინც დასახლებს, იგი ქ. ნე[სას მტერი იყოს და იგი ყველა ქვეყნის [მტერი იყოს]. და ვითარცა ლომი ქვე[ყანას...].“ ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ეპითეტი „ლომი“, როგორც სამეფო ძლიერების გამომხატველი, „ანიტას ტექსტის“ ეპოქიდან უკვე არსებობს.

ხოლო როდესაც დავამარცხე, მტვერი შევაცარე, მთელი მათი დოვლათი ხელთ ვიგდე და ქ. ხათუსა გავავსე.

(24-31) ვერცხლსა და ოქროს (არ ჰქონდა ბოლო)⁴³. მათი ღვთაებანი ხელთ ვიგდე: ამინდის ღვთაება-არმარუქის ბატონი, ამინდის ღვთაება-ხალაფის ბატონი, ალათუმი, ადალური და ლილური, (ორი) ვერცხლის ხარი, სამი ვერცხლისა და ოქროს ქანდაკება. ორი ხამრი-შენობა ვერცხლითა და ოქროთი მოვავარაყებინე, (მათი) კარებიც ვერცხლითა და ოქროთი მოვავარაყებინე.

(32-40) ერთი ოქროს ტაბლა, სამი ვერცხლის ტაბლა, ... ვერცხლისა, ერთი ოქროს სავარძელი, კარგი ოქროსი, ერთი ოქროს მადნანუ-ეტლი, ორი ... მოოქროვილი, (ეს ყველაფერი) ქ. ხასუდან ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე. ღვთაება ალლათის ქალიშვილი, ღვთაება ხეფათი, სამი ვერცხლის ქანდაკება, ორი ოქროს ქანდაკება ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.

(41-44) ერთი ვერცხლის შუბი, ... ოქროს კვერთხი, სამი ვერცხლის იარაღი, ლაპისლაზულის ხურფალუ, ოქროს ხურფალუ ამინდის ღვთაების ტაძარში მივიტანე.

(45-53) ქ. ხასუვა ერთ წელიწადში დავამარცხე. ოქროს ირემი, და თავანაგა, მისი ვაჟი, (ქალაქიდან) გავაგდე. მე, დიდმა მეფემ, მას თავი მოვკვეთე და ქ. ციფასნისაკენ გავეშურე. ქ. ციფასნა ღამით დავიჰყარი. შემდეგ გამოვედი (ქალაქიდან) და მათთან ბრძოლა დავიწყე, (ლაშქარს) მტვერი შევაცარე და იმ ქვეყნებში მზის ღვთაება შევიდა.

(54) მე, დიდმა მეფემ, გავწიე ქ. ციფასნასკენ.

(უკანა მხარე III 1-5) ხოლო ქ. ხახა ლომივით (გაშმაგებულმა) ძირს დავანარცხე. ქ. ციფასნა გავანადგურე, მისი ღვთაებანი ხელთ ვიგდე და ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე.

(6-12) შემდეგ ქ. ხახაში გავეშურე, მის კარიბჭეს სამგზის შევუტეე და გავანადგურე. მისი დოვლათი წამოვიღე და ქ. ხათუსაში ჩემი სასახლე გავავსე. ორი ურემი ვერცხლით იყო სავსე.

(13-24) ერთი მადნანუ-ეტლი, ერთი ვერცხლის ირემი, ერთი ოქროს ტაბლა, ერთი ვერცხლის ტაბლა, ხახას ღვთაებანი, ერთი ვერცხლის ხარი, ერთი მოოქროვილი გემი მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ, ხელთ ვიგდე. მათ მონა-ქალებს ხელები დოვლათის ქვიდან ავადებინე და ისინი სახანისა და ლუცის (გადასახადებისაგან) გავათავისუფლე. გავუხსენი ჯაჭვები და ისინი ქ. არინას ქალღვთაებას, ჩემს ქალბატონს დავუბრუნე. მაშინ ოქროსგან ჩემი ქანდაკება ჩამოვასხმევინე და ჩემი ქალბატონის, ქ. არინას ღვთაების ახლოს დავადგმევინე, ხოლო გალავანი მთლიანად ვერცხლით მოვავარაყებინე.

⁴³ აქადური ვერსიის მიხედვით: KBo 10.1 წინა მხარე I 37: KÙ.BABBAR-ŠU GUŠKIN PA-NA-AN Û BA-BA-AM Û-UL I-ŠU.

(25-28) ერთი საბრძოლო ვერცხლის ეტლი ქ. თიმანას მეფემ, მე, დიდ მეფეს (მომართვა) და იგი ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე.

(29-36) მდ. მალა (ევფრატი) ჯერ არავის გადაულახავს და მე, დიდმა მეფემ, თაბარნამ ფეხით გადავლახე იგი. ჩემს შემდგომ, ჩემმა ლაშქარმაც ფეხით გადალახა. იგი სარგონმა გადალახა, მან დაამარცხა ქ. ხახას ლაშქარი, მაგრამ მისთვის ხელი არ უხლია, არ გადაუწვავს, კვამლი არ უჩვენებია(?) ამინდის ღვთაებისათვის⁴⁴.

⁴⁴ სარგონ აქადელი და ევფრატის გადალახვა. ტექსტის ბოლო ორ პარაგრაფი-უკანა მხარე III 29-42, ა. გოტცემ აქადური ვერსიის მიხედვით აღადგინა და დაადგინა, რომ ლაპარაკია აქადის მეფე სარგონზე. უკანა მხარე 20: LUGAL(-)KI-NI-SU I-BI-IR-SU. შემდგომ მას 3. გუტერბოკიც დაეთანხმა. ამ მოსაზრების საფუძველი იყო ის, რომ მან, ვინც არ დაანგრია და არ გადაწვა ქალაქი ხახხა, არ შეიძლება იგივე პირი იყოს, ვინც დაანგრია და გადაწვა ეს ქალაქი ხახხასთან ერთად, ანუ თაბარნა ხათუსილი I. მისი აზრით, ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ტექსტის ხეთურ ვარიანტში თხრობა ჯერ მესამე პირში მიმდინარეობს, შემდგომ კი პირველში გრძელდება: ხათუსილი ჯერ სარგონის ლაშქრობის ამბავს ჰყვება, შემდეგ კი თავისას.

ანალების ავტორი თავის თხრობას ასრულებს სწორედ ამ საგმირო საქმით და თავის თავს აქადის ცნობილ მეფეს უდარებს, რომელიც შვიდი საუკუნით ადრე ცხოვრობდა (ქ. წ. 2334-2279 წწ.). აქედან ჩანს, რომ სარგონის ანატოლიაში ლაშქრობის, მდ. ევფრატის გადალახვისა და ქ. ხახხას დაპყრობის ამბავს ხათუსილი I კარგად იცნობდა.

ხათუსილი I-ის ტექსტის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე (1913 წ.) თელ ელ-ამარნაში აღმოჩნდა სარგონ I აქადელის ე. წ. „შარ თამხარი“-ს ტექსტი, სადაც აღწერილია სარგონის ანატოლიაში, კერძოდ კი, ქ. ნესასა და ქ. ფურუსხანდას წინააღმდეგ ლაშქრობის ამბავი. ამ ტექსტის აღმოჩენამდე მეფე სარგონის რეალურობა სათუო იყო და მას დიდი ხნის მანძილზე გამოგონილ პერსონაჟად თვლიდნენ. იგი იყო აქადის სამეფოს დამაარსებელი, საგმირო საქმეებით განთქმული მეფე. არ არის გასაკვირი, თუ მისი მოღვაწეობის ამბავი ლეგენდად გადადიოდა თაობიდან თაობაში.

საინტერესოა 1998 წ. კ. გუნბათის მიერ გამოქვეყნებული სტატია ქიულთეფეში აღმოჩენილი აქადურ ენაზე შესრულებული სარგონ I-ის ფირფიტის შესახებ. ამ ფირფიტის ტექსტი მოგვითხრობს სხვადასხვა ქვეყნებში სარგონის ლაშქრობებზე. ეს ფირფიტა სადღეისოდ ანკარის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება და ქ.წ. XVIII ს. თარიღდება. ტექსტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სარგონმა მართლაც ილაშქრა ანატოლიაში და მის მიერ ევფრატის გადალახვის ცნობა სინამდვილეს შეეფერება.

ჯერ კიდევ 1964 წ. 3. გუტერბოკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ხათუსილი I-ის ანალებში სარგონ აქადელის მოხსენიების თაობაზე, ათი წლის შემდეგ გამოეხმაურა მ. ვან ლონი სტატიით: „The Euphrates mentioned by Sarduri of Urartu“. ავტორი კიდევ ერთხელ განიხილავს ურარტელი მეფის სარდური II (დაახლ. ქ.წ. 755-735 წ.წ.), არგიშთის ძის წარწერას, რომელიც მრავალჯერ იყო თარგმნილი და გამოქვეყნებული. ავტორი ტექსტის ერთი მონაკვეთის ახლებურად წაკითხვას ცდილობს და გვთავაზობს მის შემდეგ ინტერპრეტაციას: სარდური ახსენებს მდინარე ფურანას (ევფრატს), რომელიც მან გადალახა. ხათუსილი I-ის მსგავსად, იგიც წერს, რომ „მან გადალახა მდინარე ფურანა, ამ ადგილიდან ჯერ არავის არ გადაულახავს იგი“.

ტექსტის ამ მონაკვეთის შინაარსის გაგებაში ხელს გვიწყობს სწორედ ჩვენი ნაცნობი ადგილი ხათუსილი I-ის ანალებიდან: სარდური II ხათუსილი I-ის მსგავსად მოქმედებს. სავსებით დასაშვებია, რომ ქ. წ. VIII ს. ურარტელი მმართველი კარგად იცნობდა ძველ ტექსტებსაც და ძველ სახელგანთქმულ მეფეთა საგმირო საქმეებსაც. საინტერესოა, რომ ეს გამოთქმა, რომელსაც პირველად სწორედ ხათუსილის ტექსტში ვხვდებით, შემდგომ ასე გავრცელდა მთელს წინა-აზიურ ისტორიულ ლიტერატურაში. ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე ასურელი მეფის სალმანასარ III-ს (ქ. წ. 860-825 წ.წ.) ანალები, სადაც მეფე ევფრატის გადალახვას მრავალჯერ იმეორებს.

(37-42) (მე) დიდმა მეფემ, თაბარნამ, ქ. ხასუვა (და) ქ. ხახა გავანადგურე და ცეცხლს მივეცი. ამინდის ღვთაებას კვამლი ვაჩვენე და ქ. ხასუსა და ქ. ხახას მეფენი ეტლზე მოვიბი.

(უკანა მხარე IV) (კოლოფონი) ხათუსილის საქმენი საგმირონი".

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

Keilschrifttexte aus Boghazköy (KBo), Berlin.

Kelischrifturkunden aus Boghazköy (KUB), Berlin.

<https://www.hethport.uni-wuerzburg.de/CTH/>

გიორგაძე, გ. (1988). *ათასი ღვთაების ქვეყანა*. თბილისი.

გიორგაძე, გ. (1990). „ანიტას ტექსტი“, „ხათუსილი I-ს ანალები“: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის კრესტომათია“, 173-176; 184-188.

ღამბაშიძე მ. (2006). *ხეთური ანალისტიკა*. თბილისი.

გიორგაძე, გ. გ. (1964). „*Борьба Хеттов за северную Сирию в период Древнего Царства*“, ВДИ, 3-22.

გიორგაძე, გ. გ. (1965). „*Текст Анитты и некоторые вопросы ранней истории Хеттов*“, ВДИ.

გიორგაძე, გ. გ. (1969₁). „*Хетты и Хурриты по древнехеттским текстам*“, ВДИ, 71-85.

გიორგაძე, გ. გ. (1969₂). „*О престолонаследии в древнехеттском царстве*“ (К интерпретации § 28 „Указа Телипину“, ВДИ, 67-83.

Bryce T. R. (1982). „*The major historical texts of early Hittite Empire*“, Australia.

Carruba, O. (1992). „*Die Tawannannas des Alten Reiches*“, in Hittite and Other Anatolian and Near Eastern Studies in Honour of S. Alp, Ankara, 73-89.

Carruba, O. (1993). „*Zur Datierung der ältesten Schenkungsurkunden und anonymen Tabarna-Siegel*“, Istanbul Mitteilungen 43 (Fs. Peter Neve), 77-85.

Dietrich, M. / Kümmel, H. M./ Loretz O. / Otten, H. (1985). „*Rechts- und Wirtschaftsurkunden: historisch-chronologische Texte*“, Gütersloh.

Dinçol, A. M./ Dinçol, B./ Hawkins, J. D. / Wilhelm, G. (1993). „*The 'Cruciform Seal' from Bogazköy-Hattusa*“, Istanbul Mitteilungen 43 (Fs. Peter Neve), 87-106.

Easton, D. F. (1981). „*Hittite land donations and Tabarna seal*“, JCS 33, 6.

Eisele, W. (1970). „*Erlaß Telipinu*“. München.

Gambashidze, M. (2003). „Hittite Royal “Diaries”, “Bulletin of the AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies) # 1, Tbilisi State University/Cornell University, 29-30.

Götze A., (1962). „Critical reviews: H. G. Güterbock / H. Otten, „Keilschrifttexte aus Boghazköy“, JCS 16, 24-30.

Hoffmann, I. (1984) „*Erlaß Telipinu*“, THeth 11. Heidelberg.

Imparati, F. / Saporetti I, (1965). „*L'Autobiografia di Hattušili I*“, SCO 14, 1-18; 23-28;

Kempinski, A. (1983). „*Syrien und Palästina (Kanaan) in der letzten Phase der Mittelbronze II B-Zeit (1650-1570 v. Chr.), Hethitischen und akkadischen Dokumente aus Boğazköy*“, Wiesbaden.

Klengel, H. (1999). „*Geschichte des hethitischen Reiches*“, Brill-Leiden-Boston-Köln.

Laroche, E. (1971). „*Catalogue des textes Hittites*“, Paris.

Lawson Younger, K. Jr. (1990). „*Ancient Conquest Accounts*“ (A Study in Ancient Near Eastern and Biblical History Writing), Journal for the study of the Old Testament 98, 136-139.

Marazzi, M. (1986). „*Beiträge zu den akkadischen Texten aus Boghazköy in althethitischer Zeit*“, Roma, 45-59.

- Martino de S. (1992). „*I rapporti tra ittiti e Hurriti durante il regno di Muršili I*“, Hethitica 11, 19-37.
- Melchert, H.G. (1978). „*The Acts of Ḫattušili I*“, JNES 37, 1-22.
- Otten, H. (1958). „*Keilschrifttexte*“, MDOG 91, 73-84.
- Otten, H. (1968). „*Die hethitischen historischen Quellen und die altorientalische Chronologie*“, Wiesbaden.
- Salvini M., (1994). „*Una lettera di Ḫattušili I relativa alla spedizione contro Hahhum*“, SMEA 34, 61-80.
- Schuler von E. (1965). „*Die Kaškäer*“, Berlin.
- Sommer F./Falkenstein A. (1938). „*Die hethitisch-akkadische Bilingue des Ḫattušili I (Labarna II.)*“, Hildesheim.
- Soysal, O. (1989). „*Muršili I.-Eine historische Studie*“, (Inaugural-Dissertation zur Erlangung der Doktorwürde der Phil. Fakultät I der Julius-Maximilians-Universität zu Würzburg, Würzburg.), 111-113.
- Ünal, A. (1974). „*Hattusili III, bis zu seiner Thronbesteigerung*“, Bd.I, II., Heidelberg.
- Ünal, A. (1999). „*The Hittites and Anatolian Civilizations*“, Ankara.
- Weidner, E. (1922). „*Der Zug von Akkad nach Kleinasien*“, BoSt 6, Leipzig, 57-99.

REFERENCES

- Keilschrifttexte aus Boghazköy (KBo), Berlin.
- Kelischrifturkunden aus Boghazköy (KUB), Berlin.
- <https://www.hethport.uni-wuerzburg.de/CTH/>
- giorgadze, g. (1988). atasi ghvtaebis kveqana“. Tbilisi.
- giorgadze, g. (1990). „anitas t'ekst'i“, „khatusili I-s analebi“: „dzveli aghmosavletis khalkhta ist'oriis krest'omatia“, 173-176; 184-188.
- ghambashidze m. (2006). kheturi analist'ik'a. Tbilisi.
- Giorgadze, G. G. (1964). „Bor'ba Hettov za severnuju Siriju v period Drevnego Carstva“, VDI, 3-22.
- Giorgadze, G. G. (1965). „Tekst Anitty“ i nekotorye voprosy rannej istorii Hettov“, VDI.
- Giorgadze, G. G. (19691). „Hetty i Hurrity po drevnehettskim tekstam“, VDI, 71-85.
- Giorgadze, G. G. (19692). „O prestolonasledii v drevnehettskom carstve“ (K interpretacii § 28 „Ukaza Telipinu“), VDI, 67-83.
- Bryce T. R. (1982). „*The major historical texts of early Hittite Empire*“, Australia.
- Carruba, O. (1992). „*Die Tawannannas des Alten Reiches*“, in Hittite and Other Anatolian and Near Eastern Studies in Honour of S. Alp, Ankara, 73-89.
- Carruba, O. (1993). „*Zur Datierung der ältesten Schenkungsurkunden und anonymen Tabarna-Siegel*“, Istanbuler Mitteilungen 43 (Fs. Peter Neve), 77-85.
- Dietrich, M. / Kümmel, H. M./ Loretz O. / Otten, H. (1985). „Rechts- und Wirtschaftsurkunden: historisch-chronologische Texte“, Gütersloh.
- Dinçol, A. M./ Dinçol, B./ Hawkins, J. D. / Wilhelm, G. (1993). „*The 'Cruciform Seal' from Bogazköy-Hattusa*“, Istanbuler Mitteilungen 43 (Fs. Peter Neve), 87-106.
- Easton, D. F. (1981). „*Hittite land donations and Tabarna seal*“, JCS 33, 6.
- Eisele, W. (1970). „*Erlaß Telipinu*“. München.
- Gambashidze, M. (2003). „Hittite Royal “Diaries”, “Bulletin of the AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies) # 1, Tbilisi State University/Cornell University, 29-30.
- Götze A., (1962). „Critical reviews: H. G. Güterbock / H. Otten, „Keilschrifttexte aus Boghazköy“, JCS 16, 24-30.
- Hoffmann, I. (1984) „*Erlaß Telipinu*“, THeth 11. Heidelberg.
- Imparati, F. / Saporetti I, (1965). „*L'Autobiografia di Ḫattušili I*“, SCO 14, 1-18; 23-28;
- Kempinski, A. (1983). „*Syrien und Palästina (Kanaan) in der letzten Phase der Mittelbronze II B-Zeit (1650-1570 v.Chr.), Hethitischen und akkadischen Dokumente aus Boğazköy*“, Wiesbaden.

- Klengel, H. (1999). „*Geschichte des hethitischen Reiches*“, Brill-Leiden-Boston-Köln.
- Laroche, E. (1971). „*Catalogue des textes Hittites*“, Paris.
- Lawson Younger, K. Jr. (1990). „*Ancient Conquest Accounts*“ (A Study in Ancient Near Eastern and Biblical History Writing), *Journal for the study of the Old Testament* 98, 136-139.
- Marazzi, M. (1986). „*Beiträge zu den akkadischen Texten aus Boghazköy in althethitischer Zeit*“, Roma, 45-59.
- Martino de S. (1992). „*I rapporti tra ittiti e Hurriti durante il regno di Muršili I*“, *Hethitica* 11, 19-37.
- Melchert, H.G. (1978). „*The Acts of Ḫattušili I*“, *JNES* 37, 1-22.
- Otten, H. (1958). „*Keilschrifttexte*“, *MDOG* 91, 73-84.
- Otten, H. (1968). „*Die hethitischen historischen Quellen und die altorientalische Chronologie*“, Wiesbaden.
- Salvini M., (1994). „*Una lettera di Ḫattušili I relativa alla spedizione contro Hahhum*“, *SMEA* 34, 61-80.
- Schuler von E. (1965). „*Die Kaškäer*“, Berlin.
- Sommer F./Falkenstein A. (1938). „*Die hethitisch-akkadische Bilingue des Ḫattušili I (Labarna II.)*“, Hildesheim.
- Soysal, O. (1989). „*Muršili I.-Eine historische Studie*“, (Inaugural-Dissertation zur Erlangung der Doktorwürde der Phil. Fakultät I der Julius-Maximilians-Universität zu Würzburg), Würzburg.), 111-113.
- Ünal, A. (1974). „*Hattusili III, bis zu seiner Thronbesteigerung*“, Bd.I, II., Heidelberg.
- Ünal, A. (1999). „*The Hittites and Anatolian Civilizations*“, Ankara.
- Weidner, E. (1922). „*Der Zug von Akkad nach Kleinasien*“, *BoSt* 6, Leipzig, 57-99.